



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 9

„ 10 „ 10 2019წ.

დადგენილება № 44

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ჩაბარდეს სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მეზაღიშვილის ქ.№62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგამანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის ვადები:
 - 1.1 სააუდიტორიო მეცადინეობა – 2019 წლის 15 ოქტომბერი – 2020 წლის 01 თებერვალი
 - 1.2. შუალედური გამოცდა/გამოცდები – სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად
 - 1.3. საშობაო არდადეგები – 2019 წლის 28 დეკემბერი – 2020 წლის 07 იანვარი
 - 1.4. საგამოცდო სესიების პერიოდი – 2019 წლის 03-08 თებერვალი
 - 1.5. დამატებითი საგამოცდო სესიის პერიოდი – 2019 წლის 10-15 თებერვალი
2. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ვადები:
 - 2.1 სააუდიტორიო მეცადინეობა – 2020 წლის 17 თებერვალი – 2020 წლის 30 მაისი
 - 2.2. შუალედური გამოცდა/გამოცდები – სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად
 - 2.3. საგამოცდო სესიების პერიოდი – 2020 წლის 01-06 ივნისი
 - 2.4. დამატებითი საგამოცდო სესიის პერიოდი – 2020 წლის 08-13 ივნისი